

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სახელმწიფო მორალურ ზიანს აანაზღაურებს

საიამ საქალაქო სასამართლოში წარმატებით დაასრულა საქმე პროკურატურის წინააღმდეგ, რის შედეგადაც სახელმწიფოს დაზარალებული მოქალაქისთვის მორალური ზიანის გადახდა მოუწევს.

საიას ბენეფიციარს სისხლის სამართლის საქმეზე თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული მოგვიანებით, 2012 წის 4 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა იგი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად აღიარა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამართლა. მომჩივანმა თბილისის საქალაქო სასამართლოს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს მთავარი პროკურატურის წინააღმდეგ, უკანონო მსჯავრდებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა.

საიამ მორალური ზიანის გადახდის მოთხოვნით საქმე წარმატებით დაასრულა. მოქალაქეს კუთვნილ ფულად კომპენსაციას სახელმწიფო აუნაზღაურებს.